

შპს შაბა

ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	83. 3-4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	83. 5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	83. 6
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	83. 7
განმარტებითი შენიშვნები	83. 8-14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3	339,175.6	291,388.3
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	4,083,566.7	4,584,436.6
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	3,675,789.3	3,432,448.4
სხვა მიმდინარე აქტივები		62,145.3	9,426.8
სულ მიმდინარე აქტივები		8,160,676.7	8,317,700.2
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები (ნეტო)	6	374,968.4	382,200.0
არამატერიალური აქტივები (ნეტო)	7	27,444.2	30,870.7
სულ გრძელვადიანი აქტივები		402,412.7	413,070.7
სულ აქტივები		8,563,089.4	8,730,770.9
		61,867.5	9,127.2
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	1,370,329.6	1,529,711.6
მოკლევადიანი სესხები		0.0	0.0
დარიცხული ვალდებულებები	9	13,109.4	14,366.6
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		254.4	157.0
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,383,693.4	1,544,235.2
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე		0.0	0.0
გრძელვადიანი სესხები	10	4,113,623.4	4,350,000.0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,113,623.4	4,350,000.0
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	1,150,500.0	1,150,500.0
დ/ს გადაფასები რეზერვი		630.5	630.5
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1,914,642.0	1,685,405.2

სულ კაპიტალი	3,065,772.5	2,836,535.7
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	8,563,089.4	8,730,770.9

შპს „შაბა“-ს სახელით

.....

დირექტორი

2021 წლის 11 აგვისტო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	12	17,304,599.5	19,147,957.0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-16,193,108.0	-18,153,414.5
საერთო მოგება		1,111,491.5	994,542.5
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	-536,211.9	-523,689.6
საპროცენტო ხარჯი		-540,694.0	-507,726.1
ცვეთა		-53,185.5	-41,962.9
საოპერაციო მოგება/ზარალი		-18,599.9	-78,836.1
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები (ნეტო)		441,647.1	237,745.1
არასაოპერაციო შემოსავლები		538,210.2	406,857.1
არასაოპერაციო ხარჯები		-96,563.1	-169,112.0
სავალუტო მოგება/ზარალი (ნეტო)		-169,518.2	-172,369.9
მოგება დაბეგვრამდე		253,529.0	-13,460.9
მოგების გადასახადი		-24,292.2	-22,979.3
წმინდა მოგება/ზარალი		229,236.8	-36,440.2
სხვა სრული შემოსავალი			
მთლიანი სრული მოგება/ზარალი		229,236.8	-36,440.2

შპს „შაბა“-ს სახელით

.....


დირექტორი

2021 წლის 11 აგვისტო

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	879,626.7
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	2,080.3
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-778,333.5
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	103,373.5
სავალუტო კურსის ეფექტი	-55,586.3
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	291,388.3
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	339,175.6

შპს „შაბა“-ს სახელით

.....



დირექტორი

2021 წლის 11 აგვისტო

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

კაპიტალი საწყისი ნაშთი (01.01.2020)	2,836,535.7
ახალი აქციების გამოშვება	0.0
განაწილება მესაკუთრეებზე	0.0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	229,236.8
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0.0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (31.12.2020)	3,065,772.5

შპს „შაბა“-ს სახელით

.....

დირექტორი

2021 წლის 11 აგვისტო

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „შაბა“-ს (შემდგომში „კომპანია“) 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

კომპანია დაარსდა 2013 წლის 10 ოქტომბერს. მისი სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 406104549 და მისი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო.

შპს „შაბა“-ს ძირითადი საქმიანობაა ჰიგიენური საქონლის იმპორტი და დისტრიბუცია. კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ახდენს ქვეყნის შიგნით და ასევე გააქვს ექსპორტზე. საქართველოს ტერიტორიაზე კომპანია პროდუქციის რეალიზაციას აწარმოებს საკუთარ მფლობელობაში და იჯარით აღებული სადისტრიბუციო ავტომატების მეშვეობით. კომპანიას ფლობს ლოჯისტიკურ ბაზებს ქ. თბილისსა და ქ. ქუთაისში.

კომპანიის მფლობელებისა და წილობრივი გადანაწილების შესახებ ინფორმაცია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

მაია მჭედლიშვილი	45%
არჩილ მაზიაშვილი	47,5%
გელა გოლოძე	5%
გია გიგოლაშვილი	2,5%
სულ	100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი საქონლის მიწოდების შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება

მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული არსებული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და

ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომხმარებლებისთვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მოწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან ვალდებულებებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის მიწოდებიდან ან/და მომსახურების გაწევიდან მაშინ აღიარდება, როდესაც კლიენტისთვის ხდება საქონლის/მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რეალიზაციასთან დაკავშირებული არაპირდაპირი გადასახადების გამოკლებით.

თვითღირებულების აღიარება

გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში შემავალი ხარჯების აღიარება ხდება მაშინ, როცა საწარმო იღებს შემოსავალს მოცემული პროდუქციის გაყიდვიდან. გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში შემავალი კომპონენტები ამ საქონლის რეალიზაციასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯია (მაგ. თავად საქონლის ღირებულება, პირდაპირი ხელფასები, მიწოდების ხარჯები ა.შ.).

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2020	2019
ნაღდი ფული სალაროში	26.0	377.9
ფული საბანკო ანგარიშებზე	339,149.5	291,010.5
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	339,175.6	291,388.3

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
სავაჭრო დებიტორები	4,074,786.4	4,568,619.2
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	5,633.5	1,440.9
მომწოდებლებზე გადახდილი ავასები	3,146.8	14,376.6
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,083,566.7	4,584,436.6

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება შემდგომი რეალიზაციისთვის განკუთვნილი საქონელისგან. მისი სტრუქტურა შემდეგია:

	2020	2019
საქონელი	3,671,964.5	3,423,960.0
სხვა სმფ	3,824.7	8,488.4
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	3,675,789.3	3,432,448.4

6. ძირითადი საშუალებები

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)	1 იანვარი, 2020	შემოსვლა	გასვლა	წლიური ცვეთა	31 დეკემბერი, 2020
მანქანა-დანადგარები	10	73,468.4	12,500.0		-9,277.9	76,690.5
ოფისის აღჭურვილობა	10	57,468.1	23,206.9	-13,228.8	-7,872.2	59,574.0
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10	63,348.7	3,906.5		-9,884.9	57,370.3
სატრანსპორტო საშუალებები	10	162,103.0	13,808.8		-19,256.5	156,655.4
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10	25,811.9	1,967.2		-3,100.8	24,678.3
სულ		382,200.0	55,389.5	-13,228.8	-49,392.3	374,968.4

7. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივებს წამოადგენს მარაგების აღრიცხვის და საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფები.

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)	1 იანვარი, 2020	შემოსვლა	გასვლა	წლიური ცვეთა	31 დეკემბერი, 2020
პროგრამული პროდუქტი IBS დისტრიბუცია და ლიცენზიები	14	29,921.6			-3,312.6	26,609.0
საბუღალტრო პროგრამა ORIS	14	949.2			-113.9	835.3
სულ		30,870.7	0.0	0.0	-3,426.5	27,444.2

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო კრედიტორები	1,290,585.2	1,460,637.3
გადასახდელი ხელფასები	79,744.4	69,074.3
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,370,329.6	1,529,711.6

9. დარიცხული ვალდებულებები

დარიცხული ვალდებულებები წარმოადგენს სასესხო ვალდებულებებზე დარიცხულ სარგებელს.

	2020	2019
გადასახდელი პროცენტები	13,109.4	14,366.6
სულ დარიცხული ვალდებულებები	13,109.4	14,366.6

10. გრძელვადიანი სესხები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები სს თიბისი ბანკის წინაშე. სესხების ვადიანობა 3 და 5 წელია, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი შესაბამისად 11,5 და 11,75 პროცენტი.

	2020	2019
სს ბაზის ბანკისგან მიღებული სესხები	0.0	0.0
სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხები	4,113,623.4	4,350,000.0
სულ გრძელვადიანი სესხები	4,113,623.4	4,350,000.0

11. საწესდებო კაპიტალი და გადაფასების რეზერვი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება მისი დამფუძნებლების მიერ კომპანიაში განხორციელებული ფულადი შენატანებით 2013-2015 წლების პერიოდში. 2019 წელს განხორციელდა იმ აქტივების აფასება, რომლებსაც ამოეწურათ ცვეთა.

12. ამონაგები

	2020	2019
ადგილობრივი მიწოდება	16,547,913.9	18,193,713.6
ექსპორტი	756,685.6	954,243.4
სულ ამონაგები	17,304,599.5	19,147,957.0

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს კომპანიის ადმინისტრირებასთან უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს. მისი სტრუქტურა შემდეგია:

	2020	2019
ადმინისტრაციული ხელფასები	-284,143.8	-266,491.8
იჯარა	-72,459.1	-67,195.7
კომუნიკაციის ხარჯი	-17,916.9	-20,145.3
საკონსულტაციო ხარჯი	-35,294.9	-33,600.0
მივლინება	-26,671.6	-38,941.6
კომუნალური ხარჯი	-18,929.8	-20,359.1
სხვა ხარჯები	-80,795.8	-76,956.2
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-536,211.9	-523,689.6